ნიკა ლიპინსკი

კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი

საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა

დარმშტადტის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია

„ჩვენ არასოდეს ვცხოვრობთ აწმყოში. მუდამ მხოლოდ მომავალს ველით და ვჩქარობთ, თითქოს იგვიანებდეს, ან წარსულს ვიხმობთ და ვცდილობთ დავაბრუნოთ, თითქოს იგი ძალიან ადრე დამთავრებულიყოს.“ - ბლეზ პასკალი.

თუ ვინმე მთხოვდა, ერთი ფრაზით აღმეწერა ჩემი ყოფნა საზღვარგარეთ, ალბათ სწორედ ამ ციტატას მოვიყვანდი. ერთი მხრივ, წასვლამდე შეუჩერებელი სურვილი მქონდა, დამეჩქარა მომავალი და რაც შეიძლება მალე აღმოვჩენილიყავი გერმანიის ქუჩებში, ახალ გარემოში, და მეორე მხრივ, როგორც კი ყველაფერი დამთავრდა, გაჩნდა სურვილი, დამებრუნებინა ის მომენტი და კიდევ ერთხელ გამევლო ის გზა.

საზღვარგარეთ წასვლა გადავწყვიტე, რადგან მიზიდავდა როგორც აკადემიური განვითარების, ისე სხვა ქვეყანაში ცხოვრების და მოგზაურობის შესაძლებლობა. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ექვსი თვე გავატარე გერმანიაში, ქალაქ დარმშტადტში.

სიმართლე ისაა, რომ გერმანიაში ცხოვრება, მიუხედავად თავისი განსხვავებულობისა, ამ ექვსი თვის განმავლობაში ჩემთვის ჩვეულებრივ ყოველდღიურობად იქცა.

დარმშტადტი მშვიდი და შედარებით პატარა ქალაქია. განსაკუთრებით მახსენდება საღამოები, როდესაც მის თითქმის ცარიელ ქუჩებში ველოსიპედით ვსეირნობდი. გერმანიაში ყოფნის პერიოდში ქვეყნის სხვადასხვა ქალაქშიც ვიმოგზაურე და რამდენიმე ძალიან კარგი მეგობარიც გავიცანი - ადამიანები, რომლებსაც, ალბათ, სხვა შემთხვევაში საერთოდ ვერ გავიცნობდი.

გერმანიაში სწავლა განსხვავებული, საინტერესო და ამასთან საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა, თუმცა მოგზაურობა და მეგობრებთან გატარებული დრო ამ დატვირთულობას აბალანსებდა. ემოციური იყო დასასრულის პერიოდი, როდესაც მეგობრები სათითაოდ მიემგზავრებოდნენ თავიანთ ქვეყნებში და სულ მალე ჩემი წასვლის დროც დადგა.

ახლა, როცა ისევ სახლში ვარ, ყველაზე მეტად სწორედ ის „ჩვეულებრივი“ გერმანიის დღეები მენატრება.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კავკასიის უნივერსიტეტს ამ შესაძლებლობისთვის. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ საზღვარგარეთ წასვლა გაცვლითი პროგრამით ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო.